



საქართველო



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

14.03.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №31

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის ვადის გაგრძელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს გააგრძელებს ვადა ერთი თვით.
2. ჯგუფმა აღნიშნულ ვადაში განსახილველ საკითხზე უზრუნველყოფოს შესაბამისი დასკვნის მომზადება.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ჯგუფის წევრებს.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი, რ.ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია